



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მაკროეკონომიკური საპროგნოზო
სცენარები ფასს 9-ის მიზნებისთვის

იანვარი

2020

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ფასს 9) მიხედვით საკრედიტო რისკების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროგნოზო ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი, მოსალოდნელი ტენდენციები და რისკები. საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას და თვლის, რომ იგი ხელს შეუწყობს საკრედიტო რისკების დროულ აღრიცხვას და, ამდენად, პოზიტიური გავლენა ექნება ფინანსურ სტაბილურობაზე.

ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოებისთვის, ეროვნული ბანკი 2018 წლიდან რეგულარულად აქვეყნებს მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს საპროგნოზო და რისკ სცენარებს. სცენარების ფარგლებში წარმოდგენილი რაოდენობრივი შეფასებების გამოყენება შესაძლებელია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას.

საბაზო სცენარი ეფუძნება სებ-ის პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის (FPAS) მოდელს, ხოლო ალტერნატიული სცენარები - რისკ სცენარების ანალიზისთვის განკუთვნილ მაკრო-ფინანსურ მოდელს. იმ ცვლადებისთვის, რომელიც უშუალოდ არ გამომდინარეობს მოდელიდან, გამოყენებულია დამატებითი შეფასებები (სატელიტური მოდელები). სცენარები ასევე ითვალისწინებს დამატებით ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებებს.

სცენარები ეყრდნობა მომზადების პროცესში არსებულ მიმდინარე მონაცემებს და იყენებს შესაბამის დაშვებებს ეგზოგენურ ცვლადებზე. ამდენად, ყოველი განახლებისას მოსალოდნელია საპროგნოზო სცენარების ცვლილება ახალი ინფორმაციის საფუძველზე. საპროგნოზო სცენარებში წარმოდგენილი ცვლადების დინამიკა არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ეროვნული ბანკის მიზნობრივი ორიენტირი (მაგ. საპროცენტო განაკვეთი, გაცვლითი კურსი და სხვა).

საბაზო სცენარი ასახავს ეკონომიკის მოსალოდნელ მდგომარეობას, რომელიც დაბალანსებულია ორივე მხარეს მოქმედი რისკე-

ბით, ხოლო რისკ სცენარებში განიხილება სხვადასხვა შოკის რეალიზაცია (როგორც დადებითი ასევე უარყოფითი). შოკების შერჩევა ხდება მიმდინარე პერიოდში აქტუალურობისა და რისკების გონივრული შეფასების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პესიმისტური სცენარი ასახავს უარყოფითი შოკის რეალიზაციას, თუმცა სცენარის სიმწვავე ნაკლებია სტრეს-ტესტებში გამოყენებულ სცენართან შედარებით.

სცენარების საპროგნოზო პერიოდი მოიცავს სამ-ოთხ წელს და მათი განახლება მოხდება წელიწადში ორჯერ. წარმოდგენილი სცენარები მოიცავს ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებს და ახასიათებს ქვეყანაში მაკროეკონომიკურ მდგომარეობას. ყველა მათგანის რაოდენობრივად ჩართვა საკრედიტო დანაკარგების შეფასების მოდელში სავალდებულო არ არის.

საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას საბაზო სცენარს უნდა მიენიჭოს 50%-ანი ალბათობა, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს კი 25%-25%. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას და, შესაბამისად, მაღალია მოწყვლადობა შოკების მიმართ. ამგვარად, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკურ სცენარებსა და საკრედიტო რისკს შორის არსებული არაწრფივი დამოკიდებულების გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, არსებითი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების თითოეული სცენარისთვის შეფასება და, მხოლოდ შემდგომ, შესაბამისი ალბათობებით შეწონვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკრო სცენარები არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ერთადერთი სწორი ვერსია. ფინანსური ინსტიტუტის შეუძლია, თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე, დაამატოს ალტერნატიული სცენარი და/ან შეცვალოს იგი. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, რომ ფინანსურ ინსტიტუტს გააზრებული ჰქონდეს სცენარების ადეკვატურობა და თითოეული სცენარის ფარგლებში სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადების ურთიერთ-შესაბამისი დამოკიდებულება. ფინანსურმა ინსტიტუტმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეძლოს დაასაბუთოს სცენარებში შეტანილი ცვლილებების ან მის მიერ წარმოდგენილი ახალი სცენარების ლოგიკურობა.

საბაზო სცენარი

საბაზო სცენარის მიხედვით, რომელიც მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის უახლეს გამოცემას ეფუძნება, მომდევნო წლებში ეკონომიკური აქტივობა არსებულ ტენდენციას ინარჩუნებს. საქონლისა და მომსახურების სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესებას განაგრძობს და მოსალოდნელია, რომ იგი რეალური მშპ-ის ზრდაში დადებით წვლილს შეიტანს. ასევე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სახელმწიფო დანახარჯების დაჩქარების გათვალისწინებით, მოსალოდნელია ადგილობრივი მოთხოვნის ზრდა. ეკონომიკურ ზრდაზე წმინდა ექსპორტისა და ფისკალური სტიმულის ძლიერი ზრდის დადებით ეფექტებს გარკვეულწილად ანეიტრალებს ინფლაციის ზრდის პირობებში გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა. საბაზო სცენარში რეალური მშპ-ის წლიური ზრდის პროგნოზი 2020 წლისთვის 4.5%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში, საგარეო შოკების ეფექტის ამოწურვისა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონემდე შემცირების კვალდაკვალ, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა გაუმჯობესდება და 5%-ს მიაღწევს (იხ. დიაგრამა 2), რასაც თან უმუშევრობის შემცირება მოჰყვება.

საბაზო სცენარში, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუბრუნდება. 2020 წლის პირველ ნახევარში ინფლაცია 3%-იან სამიზნე მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება, რაც ბოლო პერიოდში გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე იმპორტირებული ინფლაციისა და შუალედური დანახარჯების გაზრდილი წვლილითაა განპირობებული. 2020 წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ინფლაციის მიზნობრივ ნიშნულზე მეტად შემცირება, რასაც გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა განაპირობებს. საშუალოვადიან პერიოდში გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობა და ეფექტური გაცვლითი კურსიდან მომდინარე ზეწოლის შემცირება ინფლაციის მიზნობრივ ნიშნულთან დაახლოებას შეუწყობს ხელს (იხ. დიაგრამა 1). აღნიშნულ სცენარში ლარით გამოხატული უძრავი ქონების ფასები ინფლაციის პროპორციულად იზრდება.

ამავე სცენარში აშშ დოლარის LIBOR განაკვეთი 2020 წლის განმავლობაში არსებულ დონეზე ნარჩუნდება. საშუალოვადიან

პერიოდში FED-ის პოლიტიკის განაკვეთის მხოლოდ 0.75 პროცენტული პუნქტით ზრდაა მოსალოდნელი. სცენარი ასევე ითვალისწინებს ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) მიერ მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციის გადავადებას გაუარესებული მოლოდინების გამო. პროგნოზის მიხედვით, ECB-ის პოლიტიკის განაკვეთი 2020 წლის განმავლობაში უცვლელად ნარჩუნდება, ხოლო 2021-2022 წლებში ჯამურად 1 პროცენტული პუნქტით იზრდება.

აღნიშნულ სცენარში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი მომდევნო წლების განმავლობაში არსებულ დონეზე ნარჩუნდება (იხ. დიაგრამა 3). ასევე სტაბილური რჩება აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსიც.

საბაზო სცენარის პირობებში მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული რჩება. გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების მოსათოკად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9%-მდე გაზარდა. აღნიშნული მოლოდინები განპირობებულია ბოლო პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებითა და მისი გაზრდილი გადმოცემით სამომხმარებლო ფასებზე. მიმდინარე მაკროეკონომიკური პროგნოზის შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს დაუბრუნდება, ხოლო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ნეიტრალურ დონეს დაუახლოვდება (იხ. დიაგრამა 4).

ალტერნატიული სცენარები

საბაზო სცენარისგან განსხვავებით, სადაც რისკები დაბალანსებულია ორივე მიმართულებით, ალტერნატიული სცენარები განიხილავს სხვადასხვა ეგზოგენურ შოკებს, რომელთა შერჩევა აქტუალურობისა და რისკის ალბათობის გონივრული შეფასების გათვალისწინებით ხდება. კერძოდ, ოპტიმისტური სცენარი განიხილავს საბაზო სცენართან შედარებით ძლიერ მოთხოვნას, ხოლო პესიმისტური სცენარი აქცენტს უარყოფით საგარეო შოკზე აკეთებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული

სცენარები არ ითვალისწინებს ფისკალურ და სხვა მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ რისკებს.

ოპტიმისტური სცენარი

ოპტიმისტური სცენარი განიხილავს ძლიერი ერთობლივი მოთხოვნის შედეგად ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელზე მაღალ ზრდას. ძლიერ მოთხოვნას ძირითადად საქონლის ექსპორტისა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების მაღალი ზრდა განაპირობებს, რის შედეგადაც მიმდინარე ანგარიში საბაზო სცენართან შედრებით მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ბიზნესისა და სამომხმარებლო განწყობის გაუმჯობესების კვალდაკვალ ასევე მზარდია ადგილობრივი მოთხოვნა.

ძლიერი მოთხოვნის კვალდაკვალ, მაღალია რეალური მშპ-ის ზრდა, უმუშევრობა კი მცირდება. პოტენციურთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდა უარყოფითი გამოშვების გეპის სწრაფ დახურვას განაპირობებს და, შესაბამისად, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციურ ზეწოლას ქმნის. თუმცა, ამ ეფექტს გარკვეულწილად აბალანსებს შემცირებული ინფლაცია იმპორტირებულ საქონელსა და შუალედურ ხარჯებზე, რასაც თავის მხრივ გაუმჯობესებული საგარეო ბალანსი განაპირობებს.

ოპტიმისტურ სცენარში აშშ-ის ფედერალური ბანკისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება საბაზო სცენარის ანალოგიურია. მიმდინარე ანგარიშისა და ზოგადი საბაზრო განწყობის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ლარის გაცვლითი კურსი, როგორც ეფექტური, ასევე აშშ დოლართან, გამყარების ტენდენციას აჩვენებს. სცენარის მიხედვით, ზრდადი უცხოური სავალუტო შემოდინებების კვალდაკვალ 2020 წელს ლარი აშშ დოლართან 5%-ით, ხოლო 2021 წელს დამატებით 5%-ით მყარდება.

ძლიერი მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლის გასანეიტრალებლად, მონეტარული პოლიტიკა საბაზო სცენართან შედარებით უფრო დიდხანს ნარჩუნდება გამკაცრებულ რეჟიმში. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციური წნეხის შემცირების კვალდაკვალ,

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ნეიტრალურ დონეს უბრუნდება.

პესიმისტური სცენარი

პესიმისტური სცენარი განიხილავს რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური დამაბულობის ზრდასა და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელებას. ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გამწვავება რეგიონისთვის რისკების ზრდაში აისახება, რამაც შესაძლოა რისკების გადაფასება და რეგიონიდან კაპიტალის გადინება გამოიწვიოს. გარდა ამისა, აღნიშნული მოვლენების ფონზე ნავთობის ფასების მოსალოდნელი ზრდა უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ადგილობრივი ფასების დონეზე, განსაკუთრებით ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებში. რაც შეეხება გლობალურ ეკონომიკურ გარემოს, მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს შორის სავაჭრო დამაბულობის შენარჩუნება და განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკის გაურკვევლობა გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელებას იწვევს. მზარდი ეკონომიკის ქვეყნები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან პესიმისტურ სცენარის მიმართ, ვინაიდან ისინი რისკების გადაფასების პირობებში კაპიტალის გადინების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. განვითარებულ ქვეყნებში, მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციის შეჩერების ფონზე, ურისკო საპროცენტო განაკვეთების ზრდა მოსალოდნელი არაა. თუმცა, რეგიონში ფინანსური პირობები მაინც მკაცრდება, ძირითადად, გაზრდილი რისკის პრემიის გამო.

რეგიონში ეკონომიკური არასტაბილურობის გაძლიერებამ შესაძლოა მიმდინარე ანგარიშის გაუარესება გამოიწვიოს, რადგან იგი უარყოფითად იმოქმედებს შემოდინებების ძირითად წყაროებზე, როგორებიცაა შემოსავლები მოგზაურობიდან, საქონლის ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. აღნიშნული გავლენა შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელებით განპირობებულმა სუსტმა საგარეო მოთხოვნამ. შედეგად, პესიმისტურ სცენარში ლარი აშშ დოლარის მიმართ 2020-2021 წლებში

ჯამურად 15%-ით უფასურდება. 2022 წლიდან ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე აღნიშნული გაცვლითი კურსი 5%-ით მყარდება. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი აღნიშნულ წლებში შედარებით ნაკლებად უფასურდება, ვინაიდან გლობალური ტენდეციები სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებზეც ახდენს გავლენას. პესიმისტურ სცენარში, რეგიონში გაზრდილი რისკები და მნიშვნელოვნად გაუარესებული ფუნდამენტური მაკროეკონომიკური ფაქტორები ქვეყნის სუვერენული რისკის პრემიის 3 პროცენტული პუნქტით ზრდას იწვევს.

ამავე სცენარში, უარყოფითი საგარეო შოკის პირობებში 2020-2022 წლებში რეალური მშპ-ის ზრდა საბაზო სცენარის პროგნოზს ჯამურად 4 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება. ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე მაღლა ნარჩუნდება იმპორტირებულ საქონელზე, მათ შორის ნავთობპროდუქტებზე, გაზრდილი ფასების გამო. მაღალ ინფლაციას ასევე ხელს უწყობს გაცვლითი კურსის გაუფასურების პირობებში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მომსახურებაზე გაზრდილი დანახარჯები.

თუმცა, ინფლაციის ზრდას გარკვეულწილად სუსტი მოთხოვნა აბალანსებს. ინფლაციური მოლოდინების მოსათოკად საბაზო სცენართან შედარებით უფრო ხანგრძლივად ნარჩუნდება გამკაცრებულ მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი. პესიმისტურ სცენარში საერთაშორისო ვიზიტორების კლებით გამოწვეული ქირის მოსალოდნელი შემცირება, ისევე როგორც ეკონომიკის ზოგადი სისუსტე, 2020 წლის განმავლობაში უძრავი ქონების ლარში გამოხატული ფასების მიმდინარე დონეზე შენარჩუნებას იწვევს. მომდევნო პერიოდებში უძრავი ქონების ფასები ზომიერი ზრდის ტენდენციას იბრუნებს. საშუალოვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის მოქნილობა, მიმდინარე ანგარიშის თანდათანობით გაუმჯობესების გზით, ეკონომიკის გაჯანსაღებას უწყობს ხელს.

მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარების შეჯამება

	საბაზო	ოპტიმისტური (მლიერი მოთხოვნა)	პესიმისტური (უარყოფითი საგარეო შოკი)
FED-ის პოლიტიკის განაკვეთი	2020: +0.0 პპ 2021: +0.25 პპ 2022: +0.5 პპ	2020: +0.0 პპ 2021: +0.25 პპ 2022: +0.5 პპ	2020: +0.0 პპ 2021: +0.0 პპ 2022: +0.25 პპ
ECB-ის პოლიტიკის განაკვეთი	2020: +0.0 პპ 2021: +0.5 პპ 2022: +0.5 პპ	2020: +0.0 პპ 2021: +0.5 პპ 2022: +0.5 პპ	2020: +0.0 პპ 2021: +0.0 პპ 2022: +0.5 პპ
ქვეყნის სუვერენული რისკ-პრემიის ცვლილება*	2020: +0.0 პპ 2021: +0.0 პპ 2022: +0.0 პპ	2020: -0.5 პპ 2021: +0.0 პპ 2022: +0.0 პპ	2020: +2.0 პპ 2021: +1.0 პპ 2022: +0.0 პპ
ლარი/დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი (GEL/USD)	2020: უცვლელი 2021: უცვლელი 2022: უცვლელი	2020: გამყარება 5% 2021: გამყარება 5% 2022: უცვლელი	2020: გაუფასურება 10% 2021: გაუფასურება 5% 2022: გამყარება 5%
უმრავი ქონების ფასების ცვლილება (ლარით გამოხატული, YoY)	2020: 4.5% 2021: 2.5% 2022: 3.0%	2020: 4.5% 2021: 3.5% 2022: 3.0%	2020: +0.0% 2021: +3.0% 2022: +3.0%
რეალური მშპ-ის ზრდა (YoY)	2020: 4.5% 2021: 5.0% 2022: 5.0%	2020: 5.5% 2021: 6.0% 2022: 5.0%	2020: 2.5% 2021: 3.5% 2022: 4.5%
უმუშევრობის დონის ცვლილება	2020: +0.0 პპ 2021: -0.3 პპ 2022: -0.3 პპ	2020: -0.5 პპ 2021: -0.7 პპ 2022: -0.3 პპ	2020: +1.0 პპ 2021: +1.0 პპ 2022: +0.0 პპ
სფი ინფლაცია (YoY)	2020: 4.5% 2021: 2.5% 2022: 3.0%	2020: 4.5% 2021: 3.5% 2022: 3.0%	2020: 7.0% 2021: 5.0% 2022: 3.0%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	2020: -1.0 პპ (მიმდინარე დონესთან შედარებით) 2021: -1.5 პპ 2022: -0.5 პპ	2020: -1.0 პპ (მიმდინარე დონესთან შედარებით) 2021: -1.0 პპ 2022: -0.5 პპ	2020: +0.5 პპ (მიმდინარე დონესთან შედარებით) 2021: -1.0 პპ 2022: -1.0 პპ
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი (NEER)	2020: უცვლელი 2021: უცვლელი 2022: უცვლელი	2020: გამყარება 3% 2021: გამყარება 3% 2022: უცვლელი	2020: გაუფასურება 6% 2021: გაუფასურება 3% 2022: გამყარება 3%


შენიშვნა: მიმდინარე დონე შეესაბამება 2019 წლის დეკემბრის ბოლოს.

*JPMorgan EMBI Global Georgia Sovereign Spread; წყარო: Bloomberg


დანართი

ძირითადი ადგილობრივი ცვლადების საპროგნოზო დინამიკა


დიაგრამა 1. სფი წლიური ინფლაცია (%)



დიაგრამა 2. რეალური მშპ-ის წლიური ზრდა (%)




დიაგრამა 3. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი**



** 1995=100; ზრდა ნიშნავს გამყარებას

დიაგრამა 4. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)



	ისტორია									საპროგნოზო სცენარი								
	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	საბაზო			ოპტიმისტური			პესიმისტური		
										2020	2021	2022	2020	2021	2022	2020	2021	2022
სფი ინფლაცია (YoY, %)	8.5	-0.9	-0.5	3.1	4.0	2.1	6.0	2.6	4.9	4.5	2.5	3.0	4.5	3.5	3.0	7.0	5.0	3.0
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	7.60	5.9	4.2	4.0	5.7	7.0	7.0	7.1	7.2	8.00	6.5	6.0	8.00	7.00	6.50	9.50	8.50	7.50
რეალური მშპ-ის ზრდა (YoY, %)	7.2	6.4	3.4	4.6	2.9	2.8	4.8	4.7	5.0	4.5	5.0	5.0	5.5	6.0	5.0	2.5	3.5	4.5
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, NEER (1995=100)	238.4	254.1	254.0	262.9	259.5	275.9	269.3	279.4	265.0	265.0	265.0	265.0	273.0	281.2	281.2	249.1	241.7	248.9

შენიშვნა: მონაცემები წარმოადგენს წლის საშუალოს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული;

სცენარები ეყრდნობა მომზადების პროცესში არსებულ მიმდინარე მონაცემებს და იყენებს შესაბამის დაშვებებს ეგზოგენურ ცვლადებზე. ამდენად, ყოველი განახლებისას მოსალოდნელია საპროგნოზო სცენარების ცვლილება ახალი ინფორმაციის საფუძველზე. საპროგნოზო სცენარებში წარმოდგენილი ცვლადების დინამიკა არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ეროვნული ბანკის მიზნობრივი ორიენტირი (მაგ. საპროგნოზო განაკვეთი, გაცვლითი კურსი და სხვა).

